საქსტატი

www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება

# 2018

## სექტემბერი



www.geostat.ge

30.10.2018

30.10.2018

## ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება, სექტემბერი 2018

წინასწარი შეფასებით, 2018 წლის სექტემბერში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპმა 5,6 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2018 წლის III კვარტლის რეალური ზრდა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4,0 პროცენტით განისაზღვრა. ამასთან, 2018 წლის პირველი ცხრა თვის საშუალო რეალური ზრდა 4,9 პროცენტს შეადგენს.

### ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება, 2018 წელი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით (%)




წინასწარი შეფასებით, 2018 წლის სექტემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა დამამუშავებელი მრეწველობის, საფინანსო საქმიანობის, ვაჭრობის, უძრავი ქონებით ოპერაციების, ტრანსპორტის, სასტუმროებისა და რესტორნების დარგებში.

# ყოველთვიური ეკონომიკური სტატისტიკა

## სექტემბერი 2018

### ფასების სტატისტიკის მაჩვენებლები

| მაჩვენებელი | წინა წლის შესაბამის თვესთან | წინა თვესთან |
|---|---|---|
| სამომხმარებლო ფასების ინდექსი | 102,7 | 100,3 |
| სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი | 105,5 | 100,9 |

### საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მაჩვენებლები 2018 წ. იანვარი-სექტემბერი

| მაჩვენებელი | მლნ. აშშ დოლარი | ცვლილება % (წინა წლის შესაბამის პერიოდთან) |
|---|---|---|
| საქონლის ექსპორტი (FOB) | 2 448,1 | 25,7 |
| საქონლის იმპორტი (CIF) | 6 676,7 | 19,1 |
| საგარეო სავაჭრო ბრუნვა | 9 124,8 | 20,8 |

### საქონლით საგარეო ვაჭრობა, 2018 წელი
(მლნ. აშშ დოლარი)



## სამეწარმეო სფეროს სტატისტიკის მაჩვენებლები

| მაჩვენებელი | სექტემბერი |
|---|---|
| ახლადრეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა (ერთეული) | 4 071 |
| ახლადრეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობის ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (%) | 0,1 |
| ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებებისას გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვა (მლნ. ლარი) | 6 322,9 |
| ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებებისას გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ზრდა წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (%) | 10,4 |

### დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ზრდა წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, 2018 წელი (%)




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

## სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლები, 2018 წელი

(მლნ. ლარი)




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ხარჯები შემოსავლები

## საბანკო სფეროს მთლიანი გამოშვება, 2018 წელი

(მლნ. ლარი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

კომერციული ბანკები ეროვნული ბანკი

## საინფორმაციო ფურცელი

საქსტატი ყოველთვიურად აწარმოებს ეკონომიკის ზრდის ტემპის ყოველთვიურ წინასწარ შეფასებებს, რომელიც იანგარიშება უწყებრივი სტატისტიკის (დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვების, ფისკალური და მონეტარული მონაცემების) საფუძველზე. აღნიშნული შეფასებები წარმოადგენს საერთაშორისოდ მიღებულ პრაქტიკას, რომელსაც იყენებენ მოკლევადიანი წინასწარი ოპერატიული მონაცემების მისაღებად. იმ სფეროებში, სადაც ყოველთვიური მონაცემები (მაგალითად, სოფლის მეურნეობა, დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულობა) არ მოიპოვება, შეფასება გაკეთებულია წინა პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით. გარდა ამისა, ყოველთვიურად შესაძლებელია მოხდეს წინა თვეების დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვების კორექტირება, რაც, შესაბამისად, რეალური ზრდის ყოველთვიური წინასწარი შეფასების მონაცემის კორექტირებასაც იწვევს.

**საკონტაქტო პირები:**

ლევან ქარსაულიძე
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (302)
E-mail: Lkarsaulidze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020).
E-mail: mkavelashvili@geostat.ge; info@geostat.ge